საქმე № 010910025900187162

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-06-25 **23 თებერვალი, 2026 წელი,**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - ბადრი შონია (მომხსენებელი)
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
ლევან ნემსაძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ნ. გ-ე
წარმომადგენლები - მ. ძ–ი, ლ. ზ–ი, თ. ს-ე, მ. ბ-ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ. ხ-ი, მ. ბ–ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 13 ივნისის №032/21 გადაწყვეტილება

საჩივრის მოთხოვნა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 13 ივნისის №032/21 გადაწყვეტილების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი

1. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2021 წლის 28 მაისს საჩივრით მიმართეს ადვოკატებმა დ. მ-ა და თ. ქ-მ და მოითხოვეს ადვოკატ ნ–ა გ-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ. მ–ის პრეტენზიების ნაწილში შეწყდა დისციპლინური წარმოება. ადვოკატ თ. ქ-ის საჩივრის თანახმად, ნ. გ-ემ გააყალბა თ. ქ-ის ხელმოწერა, რითაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია და მიაყენა შეურაცხყოფა, კერძოდ, ნ. გ-ემ ხუთ სხვადასხვა უწყებაში შეიტანა საჩივარი ადვოკატ თ. ქ-ის სახელით ადვოკატების - დ. მ-სა და რ. ჩ-ს მიმართ, რაც დასტურდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 23 სექტემბრის N5005527220 დასკვნით, რომლის თანახმად, საჩივარზე არსებული ხელმოწერა ეკუთვნის არა თ. ქ-ს, არამედ ადვოკატ ნ. გ-ს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. გ-ს მხრიდან უკანონო მოქმედებამ მიაყენა რეპუტაციული ზიანი, ვინაიდან ამავე დროს ის კენჭს იყრიდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებში, რაზედაც ამ ფაქტმა უარყოფითი გავლენა იქონია. ამასთან, ადვოკატებმა, დ. მ-მ და რ. ჩ-მ, უკმაყოფილება გამოთქვეს მის მიმართ და თავდაპირველად სარწმუნოდ მიიჩნიეს, რომ ადვოკატმა თ. ქ-მ მათ მიმართ საქართველოს პროკურატურაში წარადგინა საჩივარი.

2. ადვოკატმა ნ. გ-მ, ეთიკის კომისიას 2022 წლის 1 დეკემბერს წარუდგინა ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ თ. ქ-ის ქმედებიდან გამომდინარე ბრალდებულად არის ცნობილი საქმეში, სადაც მას უნდა ჰქონდეს დაზარალებულის სტატუსი. ადვოკატის განმარტებით, მართალია ერთ ხელმოწერაზე ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ იგი ეკუთვნის ნ. გ-ს, თუმცა ცნობილია, რომ ექსპერტიზის დასკვნა საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად და დასადგენად არ არის საკმარისი და ფაქტი სხვა გარემოებითაც უნდა დადგინდეს, რადგან ხელწერის ექსპერტიზა არ არის ზუსტი მეცნიერება. ადვოკატების - რ. ჩ-სა და დ. მ-ს მისგან ჩამოცილება თ. ქ-ს სურდა, რომელსაც არ აწყობდა ნ. გ-ს მიმართ უკანონო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში მისი ინტერესების დაცვა. ამ გზით აიძულეს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი რ. ჩ-ე, რომ გასულიყო საქმიდან. თ. ქ-ე დღესაც ცდილობს ზემოქმედებას ადვოკატ ლევან ჭიღლაძეზე, რომ ისიც გავიდეს საქმიდან. ნ. გ-ს განმარტებით, ადვოკატ თ. ქ-ის მიმართ მასაც ჰქონდა პრეტენზია, გამყარებული მტკიცებულებებით, თუმცა ეთიკის კომისიამ თ. ქ-ის მიმართ არ დაიწყო დისციპლინური დევნა.

2.1 ეთიკის კომისიის სხდომებზე ადვოკატ ნ. გ-ს წარმომადგენელმა ადვოკატმა თ. ს-მ დამატებით განმარტა, რომ საჩივრის ავტორს სადავო ფაქტთან დაკავშირებით სრულყოფილად არ აქვს წარმოდგენილი განცხადებები, რომლებზეც აფუძნებს პრეტენზიას. მომჩივანმა ეთიკის კომისიას წარუდგინა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე წარდგენილი განცხადების პირველი გვერდი, ხოლო

მოგვიანებით - აღნიშნული განცხადება სრული ტექსტით. განცხადების მეორე გვერდი საერთოდ ხელმოუწერელია. თ. ს-ს განცხადებით, მხარისათვის უცნობია, რომელი დოკუმენტი გახდა ექსპერტიზის საგანი, რომლითაც საჩივრის ავტორი საკუთარ პოზიციას ამყარებს, შესაბამისად, კომისიას არ უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი. ეთიკის კომისიის 27.03.2023 წლის სხდომაზე ადვოკატმა ნ. გ-მ იშუამდგომლა კომისიის წევრების - კ. გ-ს, ე. გ-ს, ე. მ-ს, მ. ა-ს, მ. ც-ს, ა. კ-ს, ო. კ-ს, ა. ხ-ს, ი. ბ-ა და ა. ლ-ს აცილებაზე იმ მიზეზით, რომ კომისიის წევრები მის მიმართ აარიან მიკერძოებულები, ვინაიდან, როგორც მიმდინარე, ისე სხვა საქმეებზე მის მიმართ აღძრეს დისციპლინური დევნა. ადვოკატმა დააზუსტა, რომ კ. გ-ს მიმართ მას სხვა საფუძვლითაც აქვს აცილება და განმარტა, რომ წარსულში კ. გ-ი წარმოადგენდა მის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოში და ეთიკის კომისიაშიც, სადაც ადვოკატი ნ. გ-ე ადვოკატ კ. გ-ს წინააღმდეგ იცავდა მომჩივან ტ. ს-ს ინტერესებს. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ეთიკის კომისიის წევრების აცილების თაობაზე ადვოკატ ნ. გ-ს შუამდგომლობები დაუსაბუთებლობის გამო. კომისიის განმარტებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომისიის წევრები ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას ან რომელიმე მათგანი როგორც ადვოკატი, წარსულში სხვა საქმეზე წარმოადგენდა ნ. გ-ს პროცესუალურ მოწინააღმდეგეს, არ არის საკმარისი საფუძველი კომისიის წევრის აცილებისთვის. აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატმა ნ. გ-მ იშუამდგომლა ეთიკის კომისიის იმ წევრების (ი. ნ-ე, მ. ნ-ს, ბ. ბ–ი, ბ. ქ-ე, ნ. ჩ–ი) აცილებაზეც, რომლებიც საქმისწარმოების მიმდინარე ეტაპზე არ იღებდნენ მონაწილეობას დისციპლინური საქმის (N032/21) განხილვაში.

2.2 ნ. გ-ს წარმომადგენელმა ადვოკატმა თ. ს-მ იშუამდგომლა, ეთიკის კომისიას ადვოკატ თ. ქ-სთვის დაევალებინა გარკვეული დოკუმენტების, მათ შორის, სადავო განცხადებების წარმოდგენა, რაც ეთიკის კომისიის მიერ არ დაკმაყოფილდა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულების 17.1 მუხლის შესაბამისად. ადვოკატმა თა. ს-მ იშუამდგომლა საგამოძიებო ორგანოდან სადავო დედანი დოკუმენტის გამოთხოვაზე, რაც არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის დედნების ეთიკის კომისიისათვის გადაცემას. ადვოკატმა თ. ს˜-მ განმარტა, რომ დისციპლინური საქმე N032/21 არ არის ეთიკის კომისიის განსჯადი და იშუამდგომლა წარმოების შეწყვეტაზე, რაც ასევე არ დაკმაყოფილდა, ადვოკატს განემარტა, რომ შუამდგომლობა შეეხება პროფესიული ეთიკის სტანდარტის სავარაუდო დარღვევას, რაზეც მსჯელობს ეთიკის კომისია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 28.10 მუხლის შესაბამისად.

3. ეთიკის კომისიის პირველმა საპროცესო კოლეგიამ 2022 წლის 9 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. გ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატმა ნ. გ-მ, თ. ქ-ის სახელით ხელი მოაწერა საჩივრებს,

რომლებიც წარადგინა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. შესაბამისად, ადვოკატის მიერ, შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლები.

4. ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინური კოლეგიის 2023 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. განხილვის კოლეგიამ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული გადაცდომა თავისი შინაარსით იმდენად მძიმე იყო, რომ ადვოკატის მხრიდან ამ გადაცდომების სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ სახდელის სახით, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო გაფრთხილებაზე მეტი - განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

5. ადვოკატმა თ. ქ-მ ეთიკის კომისიაში წარადგინა პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ნ. გ-მ მისი სახელით მოაწერა ხელი განცხადებებს და წარადგინა ისინი სხვადასხვა ორგანოში. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად თ. ქ-მ წარადგინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.09.2020წ. ექსპერტიზის N005671620 დასკვნა და დაზარალებულად ცნობის შესახებ 11.01.2019 წ. N0012292050 დადგენილება. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული პრეტენზიების საწინააღმდეგოდ, ადვოკატმა ნ. გ-მ განმარტა, რომ ის არ არის ბრალდებულად ცნობილი სისხლის სამართლის N010080818003 საქმეში და მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა ვერ გამოდგება სადავო ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ფაქტი სხვა მტკიცებულებითაც უნდა დადგინდეს, რადგან ხელწერის ექსპერტიზა არ არის ზუსტი მეცნიერება. ნ. გ-მ ხაზი გაუსვა ფაქტს იმის შესახებ, რომ საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარუდგენია იმ განცხადების დედანი ან სრულყოფილი ასლი, რომელზეც ხელმოწერა იყო გაყალბებული.

6. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე, ადვოკატ თ. ქ-ს ნაცვლად, ხელი მოაწერა ადვოკატმა ნ. გ-მ, შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. გ-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლები.**

7. დისციპლინურ №032/21 საქმეზე დადგინდა ადვოკატ ნ. გ-ს /სიითი N----/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს განესაზღვრა დისციპლინური სახდელი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება 3 (სამი) წლის ვადით.

8. გადაწყვეტილებას ერთვის კომისიის წევრების: ე. გ-სა და მ. ც-ს განსხვავებული მოსაზრებები.

9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 8 აპრილის №032/21 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, კანონით დადგენილი ვადის მიხედვით, გაასაჩივრა ადვოკატმა ნ. გ-მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

10. საჩივრის ავტორის განცხადებით, გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი. ეთიკის კომისია გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს და კომპეტენციას, განიხილა საჩივარი, რომლის შინაარსი და თანდართული ე.წ. მტკიცებულებები არ განეკუთვნება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

10.1 ადვოკატ ნ. გ-ს მოსაზრებით, გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული მის მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრებები, შუამდგომლობები და მოთხოვნები, კომისიამ არ შეისწავლა საქმის მასალები, არ გააჩნდა მტკიცებულებები, რაზეც იმსჯელა და დაამყარა გადაწყვეტილება, არ შეაფასა როგორც საქმეში არსებული მასალები, ისე - ადვოკატისა და მისი წარმომადგენლების პოზიცია. საჩივრის მიხედვით, ეთიკის კომისია ჩაერია გამოძიებისა და სასამართლოს კომპეტენციაში, საქმეში არ იყო რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობას, დოკუმენტის სიყალბის ფაქტი არც სასამართლოს გადაწყვეტილებით და არც განაჩენით არ ყოფილა დადასტურებული, არ არსებობს არც ბრალის დადგენილება, საქმეში არ აყოფილა წარდგენილი მტკიცებულება დედნის, ან ასლის სახით, რომელზეც ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა ხელმოწერის გაყალბების ფაქტი, ხოლო საქმეში არსებული, თ. ქ-ს სახელით შექმნილი წერილის ასლზე, რომლის ადრესატია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საერთოდ არ არის დაფიქსირებული ხელმოწერა.

10.2 ადვოკატი ნ. გ-ს. მითითებით, ვინაიდან ეთიკის კომისიის რამდენიმე წევრთან ჰქონდა დაპირისპირება, წარადგინა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ მისი საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიეღოთ ეთიკის კომისიის წევრებს, ადვოკატებს - კ. გ-ს, ქ. უ–ს და მ. ნ-ს. საჩივრის ავტორის მითითებით, მ. ნ-ე იყო თ. ქ-ის ადვოკატი, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირი და ადვოკატ ნ. გ-სთან 2006 წლიდან ჰქონდა კონფლიქტი, ასევე, ადვოკატის განცხადებით, მასთან 2020 წლიდან დაპირისპირებული იყო ადვოკატი კ. გ-ი, შესაბამისად, საჩივრის ავტორი მიუთითებდა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-11 მუხლით გათვალისწინებულ აცილების საფუძვლებზე.

10.3 საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიის როგორც საპროცესო, ასევე - განხილვის ეტაპი წარიმართა საპროცესო ნორმების დარღვევებით, უგულებელყოფილ იქნა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმები, რაც გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობაა.

10.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის უცნობი იყო ეთიკის კომისიის 09.09.2022წ. გადაწყვეტილებაც, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე კ. გ-ი და მიუთითებს, რომ ვერ მიიღებს მონაწილეობას ადვოკატ ნ. გ-ს მიმართ დისციპლინური საქმეების: 023/21, 024/21 და 032/21 საპროცესო წესით განხილვაში „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების „ე" ქვეპუნქტის თანახმად, (არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც, სავარაუდოდ, ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას) თვითაცილების საფუძვლის არსებობის მოტივით. აღნიშნულის შესახებ ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუმცა იგი აყენებდა შუამდგომლობას საქმის განხილვიდან კომისიის წევრების, მათ შორის კ. გ-ს აცილების თაობაზე, რაც ეთიკის კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

10.5 საჩივრის თანახმად, ადვოკატმა ნ. გ-მ შუამდგომლობა დააყენა კომისიის წევრის - მ. ნ-ს აცილების მოთხოვნით, რომელთანაც დაპირისპირებულია 2006 წლიდან, წარადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ აღნიშნული პირი იყო თ. ქ-ის ახლო მეგობარი და დამცველი ადვოკატი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, თუმცა შუამდგომლობა აცილების თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული და შუამდგომლობის დაყენების გამო, მ. ნ-მ გაამევა იგი დისტანციური სხდომიდან, რის შემდეგაც მიიღო საქმის ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობისათვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილება.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2024 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 8 აპრილის №032/21 გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ეთიკის კომისიას.

11.1 სადისციპლინო პალატამ განმარტა, რომ აცილება შეუქცევადი პროცესია. აცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დაუშვებელია გადაწყვეტილების მიმღები პირის მონაწილეობა იმავე საქმის განხილვაში მომდევნო ან ნებისმიერ ეტაპზე. როდესაც კომისიის თავმჯდომარემ თავად მიიღო თვითაცილების საკითხის დაყენების (თავად მიიჩნია რომ არსებობდა გარემოებები, რომელიც საქმეზე არ არის დაკონკრეტებული, დაზუსტებული და რომელსაც შესაძლოა, ეჭვქვეშ დაეყენებინა მისი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა) და საქმის განხილვიდან აცილების თაობაზე გადაწყვეტილება, დაუშვებელი იყო მისი მონაწილეობა იმავე დისციპლინური საქმის (№032/21) განხილვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს კი ადასტურებს უხეში პროცესუალური დარღვევით დისციპლინური განხილვის წარმართვის ფაქტს, რაც სავალდებულოდ იწვევს განსახილველ საქმეზე მიღებული დოკუმენტის გაუქმებას. საქმეში წარმოდგენილია დისციპლინური პასუხისგებაში მიცემული პირის არაერთი განცხადება-შუამდგომლობაც ეთიკის კომისიის წევრის - ადვოკატ მ. ნ-ს საქმის განხილვიდან აცილების მოთხოვნით, რომლის საფუძვლად მითითებულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტი შესაბამისი დასაბუთებით, რომ მ. ნ- წარმოადგენდა თ. ქ-ის ადვოკატს ეთიკის

კომისიაში ადვოკატ ნ. გ-ს წინააღმდეგ. აცილების შესახებ შუამდგომლობაში მითითებულია ადვოკატ ნ. გ-სა და მ. ნ-ს შორის მრავალი წლის განმავლობაში არსებულ უთანხმოებასა და დაპირისპირებაზე და მ. ნ-სა და ადვოკატ თ. ქ-ს შორის არსებულ ახლო მეგობრულ ურთიერთობაზეც, რომელიც შესაძლოა, ქმნიდეს ვარაუდს საქმის განხილვის პროცესში მის მიკერძოებასთან დაკავშირებით, თუმცა, მიუხედავად ამისა არ დაკმაყოფილდა ადვოკატ ნ. გ-ს შუამდგომლობა მ. ნ-ს აცილებასთან დაკავშირებით, აღნიშნული გარემოებაც, სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

11.2 პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში უდავოდ არსებობდა მ. ნ-ს აცილების წინაპირობები, ამასთანავე, ადვოკატი ნ. გ-ც მიუთითებდა საქმის განხილვიდან მისი აცილების აუცილებლობასთან დაკავშირებით, თუმცა, ამის მიუხედავად, არ იქნა გათვალისწინებული არც საკანონმდებლო დანაწესი და არც მხარის მოთხოვნა და საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო არაკანონიერმა შემადგენლობამ, რომლის კონკრეტული წევრების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობდა კითხვის ნიშნები.

11.3 სადისციპლინო პალატამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის შედავება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ არის საკმარისი მტკიცებულება და დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის დადგენისათვის აუცილებელია, არსებობდეს ბრალის წარდგენის დადგენილება, ან/და დოკუმენტის სიყალბის ფაქტი აუცილებლად სასამართლოს გადაწყვეტილებით /განჩინებით უნდა იყოს დადასტურებული.

11.4 სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო/ადმინისტრაციული წარმოება არ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე, როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოება - სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე, ამასთან, პრეიუდიციული ძალის არქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

12. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, N032/21 დისციპლინურ საქმეზე დადგინდა ადვოკატ ნ. გ-ს მხრიდან დისცილინური გადაცდომის ჩადენა და დისციპლინური სახდელი - განისაზღვრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება 3 (სამი) წლის ვადით.

12.1 ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

12.1.1 ადვოკატი თ. ქ-ე წარმოადგენდა დაზარალებული მხარის ადვოკატს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მოსამართლე ლ. ჩ-ე) მიმდინარე საქმეში, სადაც ბრალდებული იყო ადვოკატი ნ. გ-ე.

12.1.2 ადვოკატ თ. ქ-ს სახელით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე, 2017

წლის 20 ოქტომბერს წარდგენილი იყო საჩივარი კოლეგის - დ. მ-ს მიმართ, სადაც მოხსენიებული იყვნენ სხვებიც, მათ შორის - რ. ჩ-ე.

12.1.3 საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2017 წლის 20 ოქტომბერს წარდგენილ განცხადებაში ადვოკატები დ. მ-ე და რ. ჩ-ე მოხსენიებული იყვნენ „თაღლითებად“ და განცხადებაში მითითებული იყო, რომ „დაეპატიმრებინათ“ ისინი.

12.1.4 სქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-3 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თ. ხ-ს 2019 წლის 11 იანვრის დადგენილებით, ადვოკატი თ. ქ-ე დაზარალებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის 010080818003 საქმეზე, მისი სახელით შესრულებული ხელმოწერის გაყალბებასთან დაკავშირებით - ყალბი დოკუმენტის დამზადება, შენახვა, გამოყენების მიზნით და გამოყენების ფაქტზე.

12.1.5 გამომძიებლის 01.09.2019 წლის (რეგ. N1006922019) დადგენილების საფუძველზე, თ. ქ-ს სახელით, საქართველოს მთავარი პროკურორთან გაგზავნილ განცხადებაზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" დაინიშნა დოკუმენტის ტექნიკური ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზა. ხსენებული ბიუროს 23.09.2020 წლის N005671620 დასკვნის თანახმად, გრაფაში: „ადვოკატი თ. ქ-ე“ შესრულებულია არა თ. ქ-ს, არა ჯ. ხ-ს, არამედ შესრულებულია ნ. გ-ს. მიერ“.

13. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა ნ. გ-მ კოლეგის - თ. ქ-გან ფარულად, ამ უკანასკნელის სახელით შეადგინა 2017 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებული საჩივარი და რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რის გამოც ადვოკატ ნ. გ-ს მიერ დაირღვა კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის ეთიკური ვალდებულებები: ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები **(ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ა, 5.ბ)**. ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები **(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 7).** ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს თავის კოლეგას **(ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).**

14. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით გაასაჩივრა ნ. გ-მ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.

15. **საჩივრის ავტორის მოთხოვნაა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების N032/21 გაუქმება და მის მოქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არასებობის გამო საქმისწარმოების შეწყვეტა.**

16. საჩივრის ავტორის განმარტებით მისი ადვოკატთა ასოციაციის წევრობის 3 (სამი) წლის ვადით შეჩერება, არის უკანონო, მის მოქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არარსებობის გამო, კომისიის გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს,

უდანაშაულოდ უნდა იქნეს ცნობილი და საქმისწარმოება შეწყდეს. მისივე მითითებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ თ. ქ-ის განცხადების საფუძველზე 2025 წლის 18 სექტემბერის N402 საოქმო გადაწყვეტილებით, ადვოკატის სტატუსი შეუწყვიტა და ამოიღო ადვოკატის რეესტრიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 27 დეკემბრის განაჩენის საფუძველზე, რომელი განაჩენიც კანონიერ ძალაში არ იყო შესული.

16.1 ნ. გ-ს მითითებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ განმეორებით მიიღო ამავე საქმეზე მის მიმართ სტატუსის შეჩერებაზე გადაწყვეტილება ისე, რომ არცერთი მისი მიერ მითითებული გარემოება არ გაითვალისწინა, არ დააკმაყოფილა არცერთი შუამდგომლობა და მოთხოვნა იმ დოკუმენტის დედნის გამოთხოვაზე, რომელზეც ჩატარებულია ექსერტიზა და მან დანიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა ხელმოწერის ნამდვილობაზე, თუმცა გამომძიებელმა არ გადასცა ექსპერტს შესამოწმებელი განცხადების დედანი, ეთიკის კომისია არ დაეხმარა იმ მტკიცებულების გამოთხოვაში რომელზედაც დანიშნა ალტერნატიული ექსპერტიზა და მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარებაში დახმარების აღმოჩენა.

16.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ასევე აღსანიშნავია, რომ მან არაერთხელ მიმართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა თ. ქ-ის საჩივრის განუხილველად დატოვება, იმ მოტივით, რომ მოცემული საქმის განხილვა, იმ ეტაპზე, იმ წესით არ შედიოდა ასოციაციის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. მანამ, სანამ საქმეზე არ იქნებოდა გამოძიებული ზემოაღნიშნული საჩივრის შემდგენი პირის ვინაობა და არ დადგინდებოდა, ვის ჰქონდა ინტერესი, თუ არა თ. ქ-ს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე არ ჰყოლოდა ნ. გ-ს დამცველი ადვოკატები. ეთიკის კომისიაში ადვოკატ თ–ა ქ-ს მიერ წარდგენილია სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს'' წერილის, სავარაუდოდ ქსეროასლი, გაგზავნილი გამომძიებელ თ. ხ-თან 23.09.2020 წელს N5005527220, რომელშიც მითითებულია, რომ გამომძიებელს ეგზავნება ხელწერის ექსპერტიზის დასკვნა N005671620, სისხლის სამართლის საქმე 010080818003-ზე, დასკვნაში მითითებულია, რომ ხელმოწერა თ. ქ-ს სახელით განლაგებული 2017 წლის 30 ოქტომბრის თარიღით, საქართველოს მთავრი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე, მეორე გვერდზე, გრაფაში „ადვოკატი თ. ქ-ე შესრულებულია არა თ. ქ-ს, არა ჯემალ ხუზაურაშვილის, არამედ შესრულებულია ნ. გ-ს მიერო“. ამავე დასკვნის თანახმად, ადვოკატ რ. ჩ-ს წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე ხელმომწერი პირის მ. ტ-ს სახელით ხელმოწრეა, ვერ იქნა დადგენილი ვის ეკუთვნის, მითითებულ პირს თუ სხვას. (დასკვნის ასლი, რაც საქმეშია ტომი 1 ს. ფ 18-25). ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მას ბრალი დაედო ადვოკატ თ. ქ-ის სახელით ხელმოწერის გაყალბებაში და ადვოკატების - დ. მ-სა და რ. ჩ-ს მიმართ საჩივრების წარდგენაში ისე, რომ საქმეზე წარმოდგენილი არ არის, არც რ. ჩ-ს და არც დ. მ-ს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის ქსეროასლებიც კი, უფრო მეტიც, არც საქმეშია და არც ექსპერტიზის დასკვნაშია ასახული ის, რომ ადვოკატ რ. ჩ-ს წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე, არსებობს თ. ქ-ს ხელმოწერა ყალბი ან ნამდვილი, ასეთი ფაქტობრივი გარემოება საქმის მასალებში არ არსებობს. რაც შეეხება საქმეში

დაცულ განცხადებას, რომელიც ერთვის ადვოკატების თ. ქ-სა და დ. მ-ს საჩივრებს, რომლის ადრესატია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, რაც ბეჭდური სახითაა წარმოდგენილი და ქვესათაურად მითითებულია ადვოკატ დ. მ-ს თაღლითობაზე, საჩივარი საერთოდ ხელმოუწერელია. (იხ ტომი 1 ს.ფ 17) გარდა ამისა, განცხადებაში თაღლითებად არიან მოხსენიებულნი თავად ნ. გ-ე და მისი ადვოკატები: მზევინარ კოსტავა, რ. ჩ-ე, თ. გ-ი, მ. ძ–ი, განცხადება დათარიღებულია და რეგისტრირებულია 2017 წლის 20 ნოემბრით და არ არის ხელმოწერილი. მითითებულ განცხადებაში დასახელებული ადვოკატები არიან მისი მეგობრები, რომლებიც მის მიმართ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეში, სადაც უკანონო ბრალი აქვს წარდგენილი ადვოკატ თ. ქ-ს ცრუ დასმენის საფუძველზე, წარმოადგენდენ მის დამცველებს, რაც დასტურია იმისა, რომ თ. ქ-ე ებრძვის ყველას, ვინც მის ინტერესებს იცავს.

16.3 ადვოკატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია, საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის ქსეროასლში მითითებული ხელმოწერების ანალიზი, რომლითაც ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ადვოკატ თ. ქ-ის სახელით შესრულებული ხელმოწერა - საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარდგენილი განცხადება, დათარიღებული 2017 წლის 20 ოქტომბერს, შესრულებულია ნ. გ-ს მიერ, თუმცა დოკუმენტი რაზეც ექსპერტი უთითებს, ეთიკის კომისიის მიერ წარმოებულ საქმეში წარმოდგენილი არ არის და რას უკავშირდება მისთვის უცნობია.

16.4 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, კომისიამ გადაწყვეტილების შემაჯამებელ დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, თუმცა რა სახის გადაცდომაზე საუბრობს, როცა საქმეში სულ გაყალბებაზეა და დანაშაულზეა მსჯელობა, მისთვის უცნობი და დაუდგენელია. სამართლებრივ შეფასებაში ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ეთიკის კომისიამ იმსჯელა ნ. გ-ს პოზიციაზე, იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეში მას არ აქვს ბრალდებულის სტატუსი და, შესაბამისად, კომისია არ უნდა იხილავდეს მის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის საკითხს, რაზედაც კომისია უთითებს, რომ „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიულ ნორმებსა და ქცევის წესებს. პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, ეთიკის მიზანია საზოგადოების წინაშე ქცევის სტანდარტების დაცულობა. ასევე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ეთიკის კომისია ადვოკატის შესახებ კანონის 28-ე მუხლის მე-10-ე პუნქტის თანახმად, ამოწმებს ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობაზე სისხლის სამართლის შედეგებისაგან დამოუკიდებლად ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას“, მაშინ, როცა გადაწყვეტილების გამომტანი კომისია გასცდა თავის უფლებამოსილების ფარგლებს და დისციპლინური საქმის არსებობა - არარსებობის ფაქტი კი არ შეამოწმა, არამედ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც არ არის

მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, ფაქტობრივად ბრალი დასდო მას და დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, უგულებელყო საქართველოს კონტიტუციის 31-ე მუხლი. ადამიანი უდანაშაულოა, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ იქნება დადგენილი კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. ეთიკის კომისიამ იკისრა ბრალმდებლის როლი და ბრალი დასდო იმ დანაშაულში, რომელიც არ ჩაუდენია, და რომელიც ვერ დასტურდება მარტოოდენ ექსპერტიზის მშრალი დასკვნით, იგი უძლურია, ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში, მას მოწმის გარდა არ გააჩნია საპროცესო სტატუსი, ეთიკის კომისიამ კი არ დააცადა გამოძიებას საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

16.5 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არსაწორად გაანაწილა ეთიკის კომისიამ მტკიცების ტვირთიც, კომისიამ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მან ვერ წარადგინა ვერანაირი მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებდა მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებას, ხელმოწერის გაყალბებასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც მას ამ სახის მტკიცებულების წარდგენის უფლება და საშუალება ექნებოდა, მხოლოდ მაშინ, თუ გამოძიებაში მიღებული იქნებოდა შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ან გამოტანილი იქნებოდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება/განაჩენი. სხვა შემთხვევაში ყველაფერი არის ვარაუდი და დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ქარწყლდება სიტყვიერად და ვინც ამტკიცებს, მანვე უნდა დაამტკიცოს საპირისპირო და არა სხვამ რადგან „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განხილვის კოლეგია დისციპლინურ საქმეს იხილავს მიუკერძოებლად, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. მითითებული პრინციპების მიხედვით, მხარეები განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათი, მხარეს არ ათავისუფლებს მტკიცების ტვირთის ვალდებულებისგან. შესაბამისად, მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის პოზიციას. ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები კი, უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალება.

16.6 ნ. გ-ს მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეთიკის კომისიას არ უმსჯელია, რა წესით მოიპოვა ადვოკატმა თ. ქ-მ ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც მისთვის არც გამომძიებელს, არც პროკურორს და არც ექსპერტიზის ბიუროს ოფიციალურად არ გადაუცია, კომისიამ კი იმსჯელა მტკიცებულებაზე, რომლის ნამდვილობა არ დაუდგენია, არ დაუდგენია მოცემული მტკიცებულების მოპოვების კანონიერებაც. კომისიამ იმსჯელა ქ-ს განცხადებაზე, სისხლის სამართლის საქმეზე არსებული მტკიცებულებებით, მაშინ, როდესაც აღნიშნულ საქმეში იგი მოწმედ არის მოხსენებული და სხვა სტატუსი არ გააჩნია.

16.7 საჩივრის ავტორის მითითებით, საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი და არსებითია ის გარემოება, რომ 2024 წლის 8 აპრილს N032/21 გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება ანალოგიურ საქმეებზე მიღებული სხვა ადვოკატების მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და სადისციპლინო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული პრაქტიკისაგან. გარდა იმისა, რომ მის მიმართ გამოყენებული სახდელი დაუსაბუთებელია, ის გაუმართლებლად მკაცრია და, რაც მთავარია სახდელი დაეკისრა ყოველგვარი დასაბუთებისა და მტკიცებულებების გარეშე, უგულებელყოფილია უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის აუცილებლობაზე საქართველოს კონსტიტუცია, კანონი და იგი დარჩა სამართლებრივი დაცვის მიღმა.

17. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ნ. გ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 13 ივნისის №032/21 გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

18. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

19. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ა“, ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ხოლო 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. მოცემული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატმა ზუსტად და განუხრელად უნდა დაიცვას ეთიკის ნორმები, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები რაც უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა

პროფესიული ეთიკის კოდექსს.

20. სადისციპლინო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2025 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ცნობად იქნა მიჩნეული, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 27 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლის თანახმად, ნ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე კანონის 21^3 პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეუწყდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა. ადვოკატ ნ. გ-ს მიერ აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რაც მხარეთა მიერ დადასტურებულ იქნა სასამართლოს სხდომაზე ზეპირი განხილვის დროს, შესაბამისად, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფლებამოსილების შეწყვეტაზე მოცემული საქმის განხილვისას არ არის კანონიერ ძალაში შესული. პალატა ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, მომჩივანს გააჩნია საჩივრის წარდგენის პირდაპირი და კანონით დაცული იურიდიული ინტერესი კონკრეტული დავის მიმართ. პალატა განმარტავს, რომ კანონიერი ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. განსახილველ შემთხვევაში კი, დასტურდება ასეთი ინტერესის არსებობა, რადგან სადავოა დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და საჩივარი ეხება უშუალოდ მომჩივნის უფლებას, რადგან სადავოდ ქცეული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უშუალოდ ზღუდავს პროფესიული საქმიანობის განხორციელებას და რა თქმა უნდა პალატა, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტი არ არის კანონიერ ძალაში შესული.

21. საჩივრის ავტორის შედავება ძირითადად ემყარება იმ გარემოებას, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ არის საკმარისი მტკიცებულება და დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის დადგენისათვის აუცილებელია, არსებობდეს ბრალის წარდგენის დადგენილება, ან/და დოკუმენტის სიყალბის ფაქტი აუცილებლად სასამართლოს გადაწყვეტილებით /განჩინებით უნდა იყოს დადასტურებული. მით უფრო, რომ მას არ გააჩნდა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების საშუალება, რადგან შპს დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტიზის ცენტრმა „ახალმა ალტერნატივამ“ ვერ მოიპოვა დოკუმენტი ექსპერტიზისათვის, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენდა ნივთმტკიცებულებას და მისი მოპოვების გამოკვლევისა და გამოთხოვის უფლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, აქვს მხარეს, ხოლო მას ამ საქმეზე გააჩნია მხოლოდ მოწმის სტატუსი. ეთიკის კომისიამ არ დააცადა გამოძიებას საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაარღვია მის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე არაწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2024 წლის 24

ივლისის გადაწყვეტილებით, მოცემული საქმე განსახილველად დაუბრუნდა ეთიკის კომისიას იმ მითითებით, რომ ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა არც საპროცესო საკანონმდებლო დანაწესი და არც მხარის მოთხოვნა და საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო არაკანონიერმა შემადგენლობამ, რომლის კონკრეტული წევრების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, არსებობდა კითხვის ნიშნები. აღნიშნული მითითება გათვალისწინებულ იქნა ეთიკის კომისიის მიერ.

23. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის კანონიერება. ამ მხრივ კი, უმნიშვნელოვანესია, შეფასდეს, არსებობდა თუ არა საკმარისი საფუძველი და მტკიცებულებათა ერთობლიობა ადვოკატ ნ. გ-ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად.

24. *ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, მე-7 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ამავე კოდესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგებს.*

25. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი თ. ქ-ე წარმოადგენდა დაზარალებული მხარის ადვოკატს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მოსამართლე ლ-ა ჩ-ე) მიმდინარე საქმეში, სადაც ბრალდებული იყო ადვოკატი ნ. გ-ე.

25.1 ადვოკატ თ. ქ-ს სახელით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე, 2017 წლის 20 ოქტომბერს წარდგენილი იყო საჩივარი კოლეგის - დ. მ-ს მიმართ, სადაც მოხსენიებული იყვნენ სხვებიც, მათ შორის - რ. ჩ-ე.

25.2 საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2017 წლის 20 ოქტომბერს წარდგენილ განცხადებაში ადვოკატები დ. მ-ე და რ. ჩ-ე მოხსენიებული იყვნენ „თაღლითებად“ და განცხადებაში მითითებული იყო, რომ „დაეპატიმრებინათ“ ისინი.

25.3 სქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-3 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თ. ხ-ს 2019 წლის 11 იანვრის დადგენილებთ, ადვოკატი თ. ქ-ე დაზარალებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის 010080818003 საქმეზე, მისი სახელით შესრულებული ხელმოწერის გაყალბებასთან დაკავშირებით - ყალბი დოკუმენტის დამზადება, შენახვა, გამოყენების მიზნით და გამოყენების ფაქტზე.

25.4 გამომძიებლის 01.09.2019 წლის (რეგ. N1006922019) დადგენილების საფუძველზე, თ. ქ-ს სახელით, საქართველოს მთავარი პროკურორთან გაგზავნილ განცხადებაზე,

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" დაინიშნა დოკუმენტის ტექნიკური ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზა. ხსენებული ბიუროს 23.09.2020 წლის N005671620 დასკვნის თანახმად, გრაფაში: „ადვოკატი თ. ქ-ე“ შესრულებულია არა თ. ქ-ს, არა ჯ. ხ-ს, არამედ შესრულებულია ნ. გ-ს მიერ“.

26. პალატა აღნიშნავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცების სტანდარტები ერთმანეთისაგან გამიჯნულია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 24.09.2010 წლის კანონით სსკ-ის 106-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელ აქტს არ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, ცვლილება განიცადა, აგრეთვე, სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა, თუმცა დაშვებულია მისი მტკიცებულებად გამოყენება, ამასთანავე, ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს იურისდიქცია არ გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი ორგანოების კომპეტენციაში ინტერვენციას, მათი განსჯადი საქმეების განხილვას, მით უფრო, რომ სისხლის სამართლებრივი იურისდიქცია დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სასჯელის გამოყენების საკითხზე სრული და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების ფუნქცია ყველაზე მეტად ხელშესახებია პირის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ **(სუსგ 16.05.2023წ. საქმე №ბს-1315(კ-20)).**

26.1 სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი აქტის არარსებობა თავისთავად არ ნიშნავს სარჩელის აღძვრის შეუძლებლობას, ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსათუოდ უარის თქმას, ვინაიდან კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობისა და პირის დამნაშავედ მიჩნევის დადასტურება მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს მოითხოვს **(სუსგ 18.03.2024წ. საქმე №ბს-575 (კ-23))** სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურსამართლებრივი წინაპირობები უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ინდივიდის დასჯას, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა იწვევს განსხვავებული მტკიცების სტანდარტის გამოყენებას ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, შესაბამისად, არ არის გამორიცხული განსხვავებული შედეგების დადგომა სხვადასხვა სამართალწარმოების ფარგლებში **(ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“, §87).**

26.2 სადისციპლინო პალატა კვლავ აღნიშნავს, რომ სამოქალაქო/ადმინისტრაციული წარმოება არ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე, როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოება - სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე, ამასთან, პრეიუდიციული ძალის არქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული

პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის შესაძლებლობას.

27. სადისციპლინო პალატა იზიარებს სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განმარტებას იმის შესახებ, რომ ექსპერტიზა წარმოადგენს პროცესუალურ მოქმედებას, რომლის წარმოება რეგლამენტირებულია კანონით და მისი წარმოების შედეგად წარმოიქმნება მტკიცებულება ექსპერტიზის დასკვნის სახით. მოცემულ დისციპლინურ საქმეში მტკიცებულებად წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულია ნეიტრალური ექსპერტიზის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, ცოდნა და უნარები. ექსპერტიზა დანიშნულია კანონის შესაბამისად, ხოლო დასკვნა შეიცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ ელემენტს, კვლევის შედეგი კი მკაფიოა და კატეგორიული.

28. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს კომისიის შეფასებას იმის შესახებ, რომ ადვოკატ ნ. გ-ს მიერ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, კოლეგის - ადვოკატ თ. ქ-ს სახელით, სხვა კოლეგების მიმართ წარდგენილი საჩივრის გამო, საგამოძიებო ორგანოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად იქნა ცნობილი ადვოკატი თ. ქ-ე, მისი სახელით შესრულებული ხელმოწერის გაყალბებასთან დაკავშირებით. ადვოკატ ნ. გ-ს ქმედება, როდესაც მან კოლეგის ინფორმირების გარეშე, მისი სახელით იმოქმედა, კერძოდ, დაწერა და საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარადგინა, სხვა კოლეგების - დ. მ-ა და რ. ჩ-ს მიმართ საჩივარი, რომლითაც კოლეგებს ბრალი დასდო „თაღლითობაში“ და საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა კოლეგების „დაპატიმრება", ეწინააღმდეგება პროფესიული ქცევის სტანდარტებს და არ წარმოადგენს კეთილსინდისიერ ქცევას. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ადვოკატმა კოლეგის ნაცვლად, მისი თანხმობის გარეშე მოაწერა ხელი სამართლებრივ დოკუმენტს, წარმოადგენს კანონიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევასა და არაკოლეგიალურ ქმედებას. ადვოკატ ნ–ა გ-ს პროფესიული ეთიკის კოდექსი აკისრებს ვალდებულებას, კოლეგასთან პირადი თუ პროფესიული უთანხმოების არსებობის შემთხვევაშიც კი, სწორად გამოეყენებინა ადვოკატის როლი, თავი შეეკავებინა ისეთი ქმედებისაგან რაც ეწინააღმდეგება კანონიერებისა და კეთისინდისიერების პრინციპებს. არ ემოქმედა კოლეგისგან ფარულად და თვითნებურად, კოლეგის ნების გაუთვალისწინებლად. ეზრუნა პროფესიულ რეპუტაციაზე და საკუთარი ქმედებით საფრთხე არ შეექმნა არა მხოლოდ საკუთარი - როგორც ერთი კონკრეტული ადვოკატის, არამედ ადვოკატთა კორპუსის სანდოობისა და რეპუტაციისათვის.

29. სდისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის შედავებას მტკიცების ტვირთის არასწორი განაწილების შესახებ და განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების ფარგლებში, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.09.2020 წლის N005671620 დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზის დასკვნა („ხელმოწერა თ-ა ქ-ს სახელით, განლაგებული 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე, მეორე გვერდზე, გრაფაში:

„ადვოკატი თ. ქ-ე“ შესრულებულია არა თ–ა ქ-ის, არა ჯ. ხ-ის, არამედ შესრულებულია ნ–ა გ-ს მიერ“) წარმოადგენს საკმარის საფუძველს სადავო ხელმოწერის არსებობის ფაქტის დასამტკიცებლად: ზოგადი წესის თანახმად, კი მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და, პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმ მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე, შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი - ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს **(ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, „თბ., 2003, გვ.64)“.**

30. პალატა განმარტავს, რომ საქმეში არსებული, კატეგორიული შინაარსის მქონე ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს საკმარის საფუძველს ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების უგულებელყოფის ფაქტის დასადასტურებლად, თუ საქმეში არ არის წარმოდგენილი აღნიშნულის გამაბათილებელი, კანონით დადგენილი წესით მოპოვებული, იმავე ძალის მქონე შესაბამისი მტკიცებულება ან მტკიცებულებათა ერთობლიობა, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის მითითება, რომ დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის დადგენისათვის აუცილებელია, ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა ან და ბრალის დადგენილება, ან დოკუმენტის სიყალბის ფაქტი აუცილებლად სასამართლოს გადაწყვეტილებით/განჩინებით უნდა იყოს დადასტურებული.

31. რაც შეეხება ადვოკატის პრეტენზიას ეთიკის კომისიის სხდომების დისტანციურად გამართვასთან დაკავშირებით, სადისციპლინო პალატა უთითებს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 28 მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, კოლეგიას ახსნა-განმარტების მიღება შეუძლია დისტანციური საშუალებით, ხოლო, რაც შეეხება ეთიკის კომისიის სხდომების წესს, ამ შემთხვევაში დებულებაში არ არის კონკრეტულად განსაზღვრული ეთიკის კომისიის სხდომის ფორმატი. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, საქმისწარმოების დისტანციურ ფორმატს არაერთი დადებითი მხარე აქვს, როგორებიცაა: უსაფრთხო გარემო, მხარეთა დროისა და რესურსის დაზოგვა, ნებისმიერი ადგილიდან პროცესის ხელმისაწვდომობა და ა. შ. ყოველივე ეს ფართოდ დადგენილი პრაქტიკაა საერთო სასამართლოების სისტემაში, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის პრეტენზია და სადისციპლინო პალატა მას ვერ გაიზიარებს.(**№სსდ-03-25**) .

32. პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რაც ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი

გადაწყვეტილება, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. „ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ," #7932/03; Va№ de Hurk v. №etherla№ds, par.61, Garcia Ruiz v. Spai№ [GC] par.26; Jah№ke a№d Le№oble v Fra№ce (dec.); Perez v Fra№ce [GC], par. 81*

33. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც უკავშირდება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ასე მაგ: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები" მე-10 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს თავის კოლეგას". ამდენად, აღნიშნული ნორმები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც. კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის. (**2015 წლის 6 მაისი დს-შ/5-15**)

34. საერთაშორისო სტანდარტით ადვოკატებს, მათი სპეციფიკური სტატუსის გამო, ცენტრალური ადგილი უჭირავთ მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამიტომ ისინი თამაშობენ უმთავრეს როლს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად. ადვოკატის როლის გათვალისწინებით „**CCBE Code of Conduct tor brussels"** ადგენს, რომ ადვოკატებს შორის ურთიერთობა პატივისცემაზე და კეთილგანწყობაზეა დაფუძნებული, ნებისმიერ უთანხმოება უნდა გადაწყდეს ეთიკური და სამართლებრივი გზებით და არა პირადი შეურაწყოფით. „**VN Basic principles on the role of Laujers (1990)"** სტანდარტით ადვოკატთა ქცევა უნდა იყოს ისეთი, რომ პროფესიული ღირსება და საზოგადოებრივი ნდობა არ შეილახოს, კოლეგების ურთიერთობა არის ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის ნაწილი.

35. სადისციპლინო პალატის განსჯით, მიუხედავად ადვოკატის თავისუფალი პროფესიისა, იგი წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის წევრს და მისთვის სავალდებულოა, დაიცვას ეთიკის კოდექსის ნორმები და იზრუნოს პროფესიულ რეპუტაციაზე. მისი საქმიანობა გავლენას ახდენს სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის აღქმაზე საზოგადოებაში.

36. პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის მოსაზრებას, რომ საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კანონიერება, რაც მოიაზრებს ადვოკატის ვალდებულებას, იმოქმედოს კანონის ფარგლებში. კანონიერების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე მაღლა დგას. ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დაცვის გარეშე შეუძლებელია კანონის უზენაესობის დამკვიდრება საზოგადოებაში. ადვოკატს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელებაში და

ორმაგად მოეთხოვება კანონიერების ფარგლებში მოქმედება. როგორც მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეს, განსაკუთრებული ვალდებულება აქვს, იზრუნოს პროფესიულ რეპუტაციაზე და პროფესიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებაზე. ადვოკატი უნდა იყოს მისაბაძი პირი, ვინც კანონიერების, თანასწორობის, შემწყნარებლობის პრინციპებს უწევს პროპაგანდას.

37.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. გ-ს მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები** *(ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;)*, **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი** *(ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები)* **და მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი** *(ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას).*

38. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, დოქტრინის მიხედვით, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დადების მიზანია საზოგადოების სამართლებრივი სისტემის მთლიანობის დაცვა, მართლმსაჯულების სამართლიანად უზრუნველყოფა და სხვა ადვოკატების მსგავსი გადაცდომისგან შეკავება *(მაგ. Gillette v. Edison№, 593 F. Supp. 2d 1063, 1066 (D.№.D. 2009)).*

39. სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ნ. გ-ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიენიჭა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია.

40. სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - საქართველოს ადვიკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერებას (3) სამი წლით და მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

41. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ნ. გ-ს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით,

75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ნ. გ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2.უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 13 ივნისის №032/21 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **ბადრი შონია**

მოსამართლეები: **თეა ძიმისტარაშვილი**

ლევან ნემსაძე